



17.07.2015

NGO-ები: „პანორამა თბილისის“ მშენებლობის ნებართვა საზოგადოებისგან ფარულად გასცეს



„ლიბერალი“

შეუერთდი განხილვას

ამავე თემაზე

თანაინვესტირების ფონდი: „პანორამა თბილისის“ პროექტის განხორციელება დაიწყო

არასამთავრობო ორგანიზაციები - საია, „ტფილისის ჰამქარი“, მწვანე ალტერნატივა“, IDFI, - პანორამა თბილისის მშენებლობაზე ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საკითხს ეხმაურებიან და აცხადებენ, რომ პროექტზე მსჯელობის დროს გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე უნდა მომხდარიყო, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას მისცემდა, პროექტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოეხატა.

- „პანორამა თბილისის“ პროექტთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტრომ და სამინისტროს სისტემაში შემავალმა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, სრული იგნორირებით, დატოვეს 17 ორგანიზაციისა და 5000-მდე საქართველოს მოქალაქის ოფიციალური მიმართვა/ მოწოდება, რომ „პანორამა თბილისის“ პროექტზე მსჯელობის დროს გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველზე მომხდარიყო;

- ადმინისტრაციული წარმოების საჯარო წესით ჩატარება ერთი მხრივ ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას მისცემდა, პროექტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოეხატა, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობდა საკითხისადმი საჯარო დისკუსიის წარმართვას;
- იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილ ლოკაციებზე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით არაერთი შენიშვნა და პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს (მათ შორის: სატრანსპორტო, ეკოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით), გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობასა და გამჭვირვალობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა;
- თუმცა, განცხადების ავტორებისათვის ამ დრომდე უცნობი რჩება, თუ რატომ არ გამოიყენეს ადმინისტრაციულმა ორგანომმა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, რომელიც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა იმ საკითხებზე, რომელიც პირთა ფართო წრის ინტერესებს ეხება;
- სამინისტროსა და სააგენტოს და, შესაბამისად, - სახელმწიფოს დამოკიდებულება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ეკიდებიან ისინი ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ვალდებულებებს მოქალაქეების წინაშე;
- მიგვაჩნია, რომ „პანორამა თბილისის“ მასშტაბის პროექტზე შესაბამისი ნებართვის გაცემის პროცესში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის უგულვებლყოფა და გადაწყვეტილების ფარულად, დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის გარეშე მიღება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პოლიტიკას - ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) უმთავრესი პრინციპების დაცვის მიმართულებით (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, სამოქალაქო ჩართულობა);

ჩვენ ვაცნობიერებთ ინვესტიციების და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას ქვეყნისთვის, თუმცა გვსურს ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ ქალაქი ეკუთვნის ხალხს და არა კონკრეტულ მიწაზე საკუთრების უფლების მქონე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს და ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანია, გადაწყვეტილების დაჩქარებულად, გაუმჭვირვალედ და საზოგადოების

ჩართულობის გარეშე მიღება, ეწინააღმდეგება დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს" - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში.

0 Comments

Sort by **Top**



Add a comment...

 Facebook Comments Plugin

